

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N014/13¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

ანა ლიპარტელიანი (სტუდენტი)

შეკითხვა

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს მიმართა კლიენტმა სამართლებრივი დახმარების გაწევის მიზნით, ისე რომ წინა ადვოკატთან კვლავაც არ შეუწყვეტია ხელშეკრულება, აქვს თუ არა ადვოკატს პროფესიული ვალდებულება, აცნობოს კოლეგას აღნიშნული ფაქტის შესახებ?

ანალიზი

აღნიშნულ შეკითხვაზე რეკომენდაციის გაცემის მიზნით, ეთიკის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, დაესვა საკითხი კოლიზიურია თუ არა ადვოკატის საქმიანობის განხორციელების დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულების და ადვოკატთა კოლეგიალური ურთიერთობის რეგულირების საკითხი. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შეიცავს კონფიდენციალობის პრინციპს, რომლის თანახმადაც, ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. კომისიამ საჭიროდ მიიჩნია განემარტა კონფიდენციალურობის ღირებულება და მიუთითა, რომ კონფიდენციალობის პრინციპის თანახმად, ადვოკატმა არ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. კონფიდენციალური ინფორმაცია მოიცავს მათ შორის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატს გაუფორმეს ხელშეკრულება კონკრეტული კლიენტის დაცვის მიზნით, თუ თავად კლიენტი არ მისცემს ადვოკატს უფლებას საჯარო გახადოს აღნიშნული საკითხი. კონფიდენციალობის ვალდებულება დროში არ არის შეზღუდული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება ეკისრება, როგორც კლიენტის ინტერესების დაცვისას, ასევე საქმის დასრულების შემდეგაც. მეორე მხრივ, კომისიამ მიუთითა, რომ კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება ყოველთვის უპირატესია ადვოკატებს შორის ურთიერთთანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებებზე და დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ ადვოკატის პროფესიული ინტერესების დაყენება.

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ აპკ-ის პირველადი რედაქციის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებდა შეკითხვაში აღნიშნულ შემთხვევაში ორ ადვოკატს შორის ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმას: „თუ ადვოკატს მიმართა კლიენტმა, რომელსაც ჰყავს სხვა ადვოკატი, ადვოკატი ვალდებულია აცნობოს კოლეგას კონსულტაციის გაწევის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების გაწევის დაწყების შესახებ.“ და მიუთითა, რომ ნორმის ამგვარი ფორმულირება წინააღმდეგობაში იყო კონფიდენციალობის პრინციპთან, თუმცა, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება გარანტირებული უნდა იყოს. ამიტომაც, კონფიდენციალობის პრინციპის გამყარების მიზნით, აპკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის რეგულაცია შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c91ed8560c89.pdf/17%20October%202013%20014.13.pdf>

მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება.“ შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებით გამოირიცხა შესაძლო წინააღმდეგობას ნორმასა და კონფიდენციალობის დაცვის პრინციპს შორის.

დასკვნა

ადვოკატი არ არის ვალდებული აცნობოს კოლეგას, თუკი მას პროფესიული მომსახურების გაწევის მიზნით მიმართა პირმა, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობაშია ამ ადვოკატთან. ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ადვოკატს გაუფორმა ხელშეკრულება დაცვის მიზნით კონკრეტულმა კლიენტმა კონფიდენციალურია და ადვოკატს მხოლოდ კლიენტის თანხმობის საფუძველზე შეუძლია მისი გამხელა